ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 375

“ 25 ” აგვისტო 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გამზირი ილია ჭავჭავაძე, №50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.004.047) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარიტასთვის“ (ს/ნ. 204862791) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.004.047) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარიტასთვის“ (ს/ნ. 204862791) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს №23.1155.1250 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გამზირი ილია ჭავჭავაძე, №50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.004.047) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარიტასთვის“ (ს/ნ. 204862791) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 120 (სამი ათას ასოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე